ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე- კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი-წევრი

გიგა კვერენჩხილაზე-წევრი

საჩივრის ავტორი - ი. ო.

საჩივრის რეგისტრაციის №004/11

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.01.2011

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 24.02.2011

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: გ. ს. -ა.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენება.

საპროცესო კოლეგიის გასაუბრება ადვოკატთან შედგა 2011 წლის 11 თებერვალს, სადაც მას განემარტა ადვოკატთა დისციპლინური დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით დადგენილი უფლება-მოვალეობები.

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1. 2011 წლის 26 იანვარს ი. ო. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა საჩივარი ადვოკატ გ. ს.-ა. მიმართ და მოითხოვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ საჩივარში აღნიშნა, რომ მის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა ადვოკატი გ. ს.- ა., იგი არ ასრულებდა თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად, არ შედიოდა მასთან ციხეში, არც საგამოძიებო ორგანოში და არც პროკურატურაში, არ ახორციელებდა ადვოკატის უფლებამოსილებას, მან მოატყუა დაცვის ქვეშ მყოფი, დაარღვია ეთიკის ნორმები, შეიყვანა დასაცავი პირი შეცდომაში და მოტყუებით მოაწერინა ხელი საპროცესო გარიგებაზე კლიენტისათვის არასასურველ პირობებზე.

1.2 განმცხადებელი მიიჩნევს რომ მოტყუება გამოიხატა იმაში, რომ იგი თანახმა იყო საპროცესო შეთანხმებაზე 1 წელი რეალურ სასჯელზე, ადვოკატმა კი ხელი მოაწერინა დოკუმენტზე სადაც 2 წელი და 6 თვეა სასჯელის ზომა.

1.3. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია ეთიკის ნორმები ითხოვს ადვოკატის მიმართ დევნის აღძვრას.

2. ადვოკატის ახსნა-განმარტების მიხედვით:

2.1.ადვოკატ გ. ს.-ა. წარმოადგინა ახსნა-განმარტება. განმარტების თანახმად, იგი 2010 ივლისიდან 2011 წლის 10 იანვრამდე ახორციელებდა როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლოში ი. ო. ინტერესების დაცვას. მან პირნათლად შეასრულა პროფესიული ვალდებულება, დადიოდა როგორც საგამოძიებო ორგანოში, ისე თავის დასაცავ პირთან გლდანის #8 დაწესებულებაში, ესწრებოდა საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას, მიაჩნია რომ ადვოკატის სწორი კონსულტაციის შედეგია მიღწეული სასჯელი.

2.2.ადვოკატმა აღნიშნა, რომ ბრალდებულმა ი.ო. ნებაყოფლობით მოაწერა ხელი საპროცესო შეთანხმებას სასამართლოში პროცესის მსვლელობისას სასამართლოს თანასწრებით.

2.3. ადვოკატი აღნიშნავს რომ არ ეთანხმება საჩივრის ავტორს და საჩივარი მიაჩნია უსაფუძვლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

2011 წლის 24 თებერვალს შედგა დისციპლინური დევნის შესახებ საჩივრის განხილვა. კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები, საჩივრის ავტორის ი.ო. მამის დეკანოზი მ. ო. მიერ წარმოდგენილი განცხადება ეთიკის კომისიის თავმჯდომარის სახელზე მიიჩნია, რომ არ არსებობს საკმარისი საფუძვლები ადვოკატ გ. ს.-ა. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დევნის აღსაძრავად. არ არის დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

3. **უდავო ფაქტობრივი გარემოებები:**

3.1.გ. ს.-ო. არის სსიპ-საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

4. **შემაჯამებელი დასკვნა**

4.კოლეგიას მიაჩნია, რომ ი. ო. მიერ წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო.

4.2 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის დარღვევას წარმოდგენილ საჩივარზე ადგილი არ აქვს, იზიარებს ადვოკატ გ. ს.-ა. ახსნა-განმარტებას. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ადვოკატმა გ. ს.-ა. არ დაიშურა შრომა საქმის წარმოებისას, რათა მაქსიმალურად დაეცვა კლიენტის უფლებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 11 მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე, 28-ე, 30-ე და 31 მუხლების საფუძველზე

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.მომჩივანს ი. ო. უარი ეთქვას ადვოკატ გ. ს.-ა. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.

2. გადაწყვეტილება გადაეცეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: ცირა შუბითიძე

კოლეგიის წევრი: არჩილ კბილაშვილი

კოლეგიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე